



ELDR მანიფესტი 2009 წლის ევროპული არჩევნებისთვის

დამტკიცდა სტოკჰოლმის კონგრესზე, 2008 წლის 31 ოქტომბერს

ევროპელი ლიბერალების მიერ მომზადებული 15 მთავარი საკითხი ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ლიბერალებმა დიდი წვლილი შეიტანეს ევროკავშირში, რათა მიღწეული იქნას მშვიდობა, ერთიანობა და კეთილდღეობა. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას უფრო ქმედითი და დემოკრატიული კავშირის, ერთიანი ბაზრის, უფრო მეტად უსაფრთხო გარემოს შექმნის, სამოქალაქო თავისუფლებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიმართულებით. ჩვენ გვსურს კავშირმა ლიდერის როლი ითამაშოს გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებთან გასამკლავებლად და საერთაშორისო ფინანსურ კრიზისზე და მის შედეგებზე რეაგირების მოსახდენად. კავშირმა მოდერნიზაცია უნდა განიცადოს და უნდა გაძლიერდეს ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ფასეულობებისა თუ პრინციპების შესახამისად.

ლიბერალები მესამე უდიდეს ჯგუფს წარმოადგენენ ევროპის პარლამენტში და ისინი ხშირად დადებით როლს თამაშობენ სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხების გაუმჯობესების მხრივ.

ELDR დარწმუნებულია ლისაბონის ხელშეკრულების დამტკიცების აუცილებლობაში და მოგვიწოდებს მისი განხორციელებისკენ. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირის დაწესებულებების მნიშვნელოვან რეფორმებს, ზრდის გამჭვირვალობას, აძლიერებს მის დემოკრატიულ ხასიათს და ევროკავშირის უზრუნველყოფს აუცილებელი საშუალებებით, დღევანდელ გლობალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ევროპელი ლიბერალ-დემოკრატები ევროკავშირის სახელმწიფოებს დაჟინებით სთხოვენ შეთანხმდნენ მისი სწრაფი განხორციელების მეთოდებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო თავისუფლება

სამოქალაქო თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყველა ევროპელი ლიბერალის ფუნდამენტური პრინციპებია.

1. ELDR მოითხოვს თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემას ევროკავშირში, განსაკუთრებით კი პრესის, აზრის, სიტყვის თავისუფლებას, ასოციაციაში გაწევრიანების, რელიგიურ და საკუთრების უფლებებს, აგრეთვე უმცირესობების უფლებების დაცვას, პიროვნების კონფიდენციალურობისა და პირადი მონაცემებისა თუ ღირსების დაცვას.
2. ELDR-ის სურვილია ევროკავშირი იქცეს თავისუფალ, დაცულ და სამართლიან რეალურ სივრცედ და მოგვიწოდებს უფრო ძლიერი თანამშრომლობა დავამყაროთ პოლიციურ და იურიდიულ სამსახურებს შორის, რათა ეფექტურად აღიკვეთოს საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებები, ტერორიზმი და კორუფცია. ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იქნას ექვმიტანილთა ძირითადი საპროცესო უფლებები.

ევროკავშირის ერთიანი ბაზარი, ზრდა და დასაქმება

საერთაშორისო კონკურენცია, ცოდნის გაზიარება და თავისუფალი ვაჭრობა საქონლითა თუ მომსახურებით მნიშვნელოვანი ელემენტებია ევროკავშირის საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

3. ELDR მხარს უჭერს ”მეხუთე თავისუფლების” მცნებას. ეს არის თავისუფალი გადაადგილება ცოდნის მისაღებად, მათ შორის სტუდენტების, მეცნიერებისა და მკვლევარების გადაადგილება წევრ სახელმწიფოებს შორის, რათა ხელი შეეწყოს გამოგონებებსა და აღმოჩენებს. ELDR მოგვიწოდებს ინტელექტუალური საკუთრების ერთიანი ბაზრისაკენ.
4. ELDR-ს სწამს, რომ კონკურენტული ევროპული ბიზნეს-გარემო არსებითია ევროპის მოქალაქეების ცხოვრების უმაღლესი სტანდარტების მისაღწევად და ევროკავშირის სტანდარტების გლობალურ დონეზე მისაყვანად. ერთიანი ბაზარი შეიძლება გამყარდეს და გავრცელდეს ენერგეტიკის, საფოსტო მომსახურებების, ფინანსური მომსახურებების, რკინიგზისა და ჯანდაცვის სფეროებში, როდესაც გამარტივდება მომსახურებებისა და მუშახელის თავისუფალი გადაადგილება, მათ შორის, კვალიფიკაციების ორმხრივი აღიარების გაღრმავება. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში ევროკავშირი მამოძრავებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს, რათა გაუქმდეს საბაჟო გადასახადები თუ არასატარიფო ბარიერები და ევროპის საერთო ბაზრის კარები ფართოდ გაიხსნას მსოფლიოსთვის.
5. ELDR კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მდგრადი ზრდა, ევროპის ცენტრალური ბანკისა და ნაციონალური ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობა და გონივრული ფისკალური პოლიტიკა, რომელსაც ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის ისინიც, რომლებიც აპირებენ შეუერთდნენ ევროს, ახორციელებს მასტრიხტის კრიტერიუმების შესაბამისად, კვლავ არსებითია მსოფლიოს განვითარებისა და კეთილდღეობის საკითხში. მხოლოდ ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი ევროპა, სამუშაო ადგილებისა და შესაძლებლობების შექმნა ყველასთვის, საფუძვლად უდევს ერთიანი ბაზრის სოციალურ ასპექტს.

6. ELDR მიესალმება ფინანსური სისტემის რეფორმისთვის გადადგმულ ნაბიჯებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი უნდა ემყარებოდეს უკეთეს დებულებებსა და შესაბამისად კონტროლირებად განხორციელებას. კეთილდღეობის ძირითადი გარანტია მდგომარეობს ბაზრის ყველა მონაწილის მაღალი დონის პირად პასუხისმგებლობაში. უმთავრეს შეცდომებად უნდა ჩაითვალოს ნაციონალიზაციის პოლიტიკის ჩავარდნა, დებულებებით დადგენილი ნორმების გადამეტება და პროტექციონიზმი. ELDR მხარს უჭერს დებულებების შემმუშავებლებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ინტენსიფიკაციას და საერთაშორისო სტანდარტების გაძლიერებას. მას სჯერა, რომ რეფორმირებული საერთაშორისო ფინანსური ფონდი წამყვან როლს ითამაშებს ამ პროცესში, რათა ხელი შეუშალოს ფინანსური კრიზისების წარმოქმნას მომავალში.
7. ELDR მხარს უჭერს ევროკავშირის მიერ შემოღებულ "ცისფერი ბარათის" სისტემას, რომელსაც მართავს თითოეული წევრი სახელმწიფო, რათა უზრუნველყოს ზომიერი ეკონომიკური მიგრაცია, ევროკავშირის მოქალაქეების სასარგებლოდ.

გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული პოლიტიკა

კლიმატური ცვლილებებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საერთო პრობლემების მოგვარება მოითხოვს ევროპის ერთიან მოქმედებას. ევროპის ეკონომიკამ ეფექტურად და მცირე რაოდენობით უნდა გამოიყენოს ქვანახშირი, რაც მსოფლიოში შედეგად მოგვცემს მის კონსერვაციას, განახლებად ენერგორესურსებსა და შემოქმედებით საბაზრო საშუალებებს, ეს კი უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდას.

8. ELDR ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროკავშირის კლიმატური პაკეტის გათვალისწინებით, ბიზნესი საჭიროებს ადმინისტრაციული სირთულეების შემცირებას და ინვესტიციების სტიმულირების ინიციატივებს ტექნიკური განვითარებისთვის, რათა გაძლიერდეს ქვანახშირის ეკონომიური გამოყენება. ELDR-ს სურს გაზარდოს ინვესტიციები ტექნოლოგიებში, რითაც უზრუნველყოფს ენერგომომარაგების საკითხის მოგვარების საშუალებებს, მაღალ წარმადობას და გაზრდილ უსაფრთხოებას.
9. ELDR-ს სურს განავითაროს ევროპის ენერგეტიკის ინდუსტრია, უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ემსახუროს მომხმარებელთა ინტერესებს, მოახდინოს კლიმატური და ენერგეტიკული პოლიტიკის ინტეგრირება ეკონომიკის უწყვეტ განვითარებაზე დაყრდნობით, დაიცვას ბუნებრივი გარემო; ყველაფერი გააკეთოს გლობალური ლიდერის როლის შესასრულებლად.
10. ELDR აქტიურად წევს წინა პლანზე სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მიზანსწრაფულ რეფორმას, მრავალმხრივი ურთიერთობების ჩარჩოებში (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია). ეს რეფორმა ევროკავშირის ფერმერებს საშუალებას მისცემს კონკურენტუნარიანი იყვნენ თავისუფალ გლობალურ

ბაზარზე, უკეთესად დააკმაყოფილონ საკვების მიმართ წაყენებული მზარდი გლობალური მოთხოვნები ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, უნდა გამოიყოს ფონდები განახლებადი ენერჯორესურსების კვლევისთვის, მათ შორის ახალი თაობის ბიოსაწვავების უწყვეტი განვითარებისთვის, გარანტირებული უნდა იქნას საკვების გრძელვადიანი მიწოდება. ELDR მხარს უჭერს CAP-ის ბიუჯეტის უწყვეტ შემცირებას 2013 წლის შემდეგ.

გაფართოების, საგარეო საკითხების, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა

გლობალურ მსოფლიოში ევროკავშირის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მარტო გაუმკლავდეს იმ მუქარებსა და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს ვდგავართ, ესენია: სამხედრო და სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტი, ენერჯორესურსების უსაფრთხო მიწოდება და საერთაშორისო ვაჭრობა, შეიარაღების კონტროლი და განიარაღება, ბრძოლა ტერორიზმისა და ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ, კლიმატურ პირობებთან გამკლავება, სიღარიბისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა. ევროკავშირის მოქალაქეები ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნებისგან მოელიან თანადგომას, ერთობლივ მოქმედებას და გლობალური საკითხების მოგვარებაში თავიანთი როლის ეფექტურად შესრულებას.

11. ELDR ევროკავშირის ზრდის პროცესს წარმატებად მიიჩნევს და მხარს უჭერს ევროკავშირის გაფართოების ძალისხმევას, რასაც ადგილი აქვს იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ კოპენჰაგენში მიღებულ კრიტერიუმებს ევროკავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით, სადაც ინტეგრირების შესაძლებლობებს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა.
12. ELDR-ის აზრით, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს, რათა ეფექტურად დაეხმაროს გლობალურ უსაფრთხოებას, სადაც ეს მიზანშეწონილია NATO-ს სტრუქტურებთან თანამშრომლობით. ამგვარად, ჩვენ მოგიწოდებთ ახალი უდიდესი ძალისხმევისკენ, რათა გაძლიერდეს და გაფართოვდეს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, ევროპული თავდაცვის რესურსებისა და შესაძლებლობების გაერთიანებით. ეს გააძლიერებს ევროკავშირის სამხედრო თავდაცვის სფეროში ერთობლივ მოქმედებას და საერთაშორისო უსაფრთხოებასა თუ საგანგებო ჰუმანიტარულ მდგომარეობებზე მისი რეაგირების უნარს.
13. ELDR თვლის, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინტერესების უკეთესად დაკმაყოფილება შესაძლებელია საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საშუალებით, როდესაც უმაღლესი წარმომადგენლები ხმაშეწყობილად განიხილავენ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.
14. ELDR ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროკავშირმა უფრო მეტად უნდა გააძლიეროს სამოქალაქო კრიზისის მენეჯმენტის შესაძლებლობები და გამოიყენოს მისი გამოცდილება სტაბილურობის გარანტიისთვის, კანონის

უზენაესობისა და საუკეთესო მართვისთვის იმ ქვეყნებში, სადაც წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები ან ცნობილია მათი არსებობის შესახებ.

15. ELDR არწმუნებს ევროკავშირს, რომ საჭიროა პოსტ-კონფლიქტური ინსტიტუციური მშენებლობისა თუ სახელმწიფოს მშენებლობაში მისი მნიშვნელოვანი გამოცდილების გამოყენება და შემდგომი გაფართოება, რათა უკეთესად მოვემზადოთ ისეთ სიტუაციებთან გასამკლავებლად, როგორცაა რეგიონალური არასტაბილურობა, არშემდგარი სახელმწიფოებიდან წამოსული ტერორიზმის მუქარა და საგანგებო ჰუმანიტარული მდგომარეობები.